



არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა (STEPS) 2016 ძირითადი მიგნებები

არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების STEPS პოპულაციური კვლევა საქართველოში ჩატარდა 2016 წლის ივნისიდან სექტემბრამდე პერიოდში და მოიცავდა 18-69 წლის მოზრდილ მოსახლეობას. კვლევა გახლდათ სამ საფეხურიანი: მონაცემები სოციო-დემოგრაფიული და ჩვევითი რისკ-ფაქტორების შესახებ შეგროვდა პირველ საფეხურზე; ფიზიკური გაზომვები (სიმაღლე, წონა, სისხლის არტერიული წნევა) - მეორე და ბიოქიმიური გაზომვები (გლუკოზისა და ქოლესტეროლის კონცენტრაცია სისხლში) მესამე საფეხურზე. კვლევაში გამოყენებული იყო მრავალსაფეხურეობრივი კლასტერული შერჩევის მეთოდი. კვლევის ამონარჩევის ზომად განისაზღვრა 5554 პირი, მონაწილეობა მიიღო 4204 რესპოდენტმა (გამოხმაურებამ შეადგინა 75.7%). რეკომენდირებულია კვლევის გამეორება 2021 წელს.

შედეგები 18-69 წლის პოპულაციაში (მათ შორის 95% CI)	ორივე სქესი	კაცი	ქალი
Step 1 თამბაქოს მოხმარება			
თამბაქოს ამჟამინდელი მოხმარება (%)	31.0% (28.9 – 33.0)	57.0% (53.6 – 60.3)	7.0% (5.8 – 8.2)
თამბაქოს ამჟამინდელი ყოველდღიური მოხმარება (%)	28.0% (26.0 – 30.0)	51.5% (48.1 – 55.0)	6.2% (5.1 – 7.4)
<i>მათთვის ვინც ყოველდღიურად ეწევა</i>			
მოწევის დაწყების საშუალო ასაკი (წლები) ამჟამინდელ ყოველდღიურ მწეველებში	18.3 -	17.8 -	22.4 -
მოწევის დაწყების საშუალო ასაკი (წლები) ამჟამინდელ მწეველებში	18.4 -	17.9 -	22.6 -
ქარხნული სიგარეტის მოხმარება ყოველდღიურ მწეველებში (%)	98.6% (97.7 – 99.5)	98.4% (97.5 – 99.4)	100.0% -
ყოველდღიურად მოწეული ქარხნული სიგარეტის ღერების საშუალო რაოდენობა (ვინც ეწევა ქარხნულ სიგარეტს)	21.3 -	22.2 -	14.4 -
Step 1 ალკოჰოლის მოხმარება			
არასოდეს მიუღიათ ალკოჰოლი (%)	10.4% (8.9 – 12.0)	3.9% (2.6 – 5.3)	16.4% (14.1 – 18.8)
არ მიუღიათ ალკოჰოლი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში (%)	20.1% (18.5 – 21.7)	11.4% (9.5 – 13.3)	28.1% (25.8 – 30.4)
ალკოჰოლის ამჟამინდელი (ალკოჰოლის მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში) მოხმარებლები (%)	39.1% (36.6 – 41.5)	58.9% (55.2 – 62.5)	20.8% (18.6 – 22.9)
ალკოჰოლის მძიმე ეპიზოდური (ერთ ჯერზე 6 და მეტი ულუფა ალკოჰოლის მიღება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში) მოხმარება (%)	18.3% (16.1 – 20.6)	35.3% (31.2 – 39.4)	2.6% (1.7 – 3.5)
Step 1 კვებითი ჩვევები			
ჩვეულებრივი კვირის განმავლობაში დღეების საშუალო რაოდენობა, როდესაც მიიღეს ხილი	5.3 (5.2 – 5.4)	5.1 (4.9 – 5.3)	5.4 (5.3 – 5.6)
ჩვეულებრივი დღის განმავლობაში მიღებული ხილის ულუფების საშუალო რ-ბა	2.0 (1.9 – 2.1)	2.0 (1.8 – 2.1)	2.1 (1.9 – 2.2)
ჩვეულებრივი კვირის განმავლობაში დღეების საშ. რაოდენობა, როდესაც მიიღეს ბოსტნეული	6.0 (5.9 – 6.1)	5.9 (5.8 – 6.0)	6.1 (5.9 – 6.2)
ჩვეულებრივი დღის განმავლობაში მიღებული ბოსტნეულის ულუფების საშ. რ-ბა	2.4 (2.3 – 2.5)	2.4 (2.3 – 2.6)	2.4 (2.3 – 2.5)
დღის განმავლობაში იღებენ 5 ულუფაზე ნაკლებ ხილსა და/ან ბოსტნეულს (%)	63.0% (60.1 – 66.0)	63.8% (59.6 – 67.9)	62.4% (59.5 – 65.3)
საკვებს ყოველთვის ან ხშირად ამატებენ მარილს ან მარილიან საწებელს გაუსინჯავად ან გასინჯვის შემდეგ (%)	26.7% (24.7 – 28.8)	33.4% (29.4 – 37.3)	20.6% (18.6 – 22.7)
ყოველთვის ან ხშირად მიირთმევენ მარილის მაღალი შემცველობის მზა საკვებს (%)	14.3% (12.4 – 16.2)	18.9% (15.3 – 22.5)	10.1% (8.7 – 11.5)
Step 1 ფიზიკური აქტივობა			
არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა (კვირის განმავლობაში < 150 წუთი საშუალო ინტენსივობის აქტივობა, ან ეკვივალენტი)* (%)	17.4% (15.6 – 19.2)	16.2% (13.6 – 18.9)	18.4% (16.3 – 20.4)
ჩვეულებრივი დღის განმავლობაში ფიზიკურ აქტივობაზე დახარჯული მედიანური დრო (წუთი) (წარმოდგენილია ინტერ-კვარტილური ინტერვალით)	137.1 (40.0 – 300.0)	158.6 (55.7 – 342.9)	173.8 (30.0 – 270.0)
ინტენსიურად არ არის დატვირთული (%)	82.4% (80.3 – 84.6)	72.2% (68.5 – 75.9)	91.8% (90.1 – 93.4)

შედეგები 18-69 წლის პოპულაციაში (მათ შორის 95% CI)	ორივე სქესი	კაცი	ქალი
Step 1 საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი			
საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის სიცოცხლის განმავლობაში ჩატარება 30-49 წლის ქალთა შორის (%)			23.9% (20.6 - 27.3)
Step 2 ფიზიკური გაზომვები			
სხეულის მასის ინდექსის (BMI - კგ/მ ²) საშუალო მაჩვენებელი	28.1 (27.8 - 28.4)	27.9 (27.5 - 28.3)	28.3 (28.0 - 28.6)
ჭარბი წონა (BMI ≥ 25 კგ/მ ²) (%)	64.6% (62.3 - 67.0)	65.5% (61.4 - 69.7)	63.8% (61.4 - 66.3)
სიმსუქნე (BMI ≥ 30 კგ/მ ²) (%)	33.2% (31.3 - 35.2)	30.2% (26.9 - 33.6)	36.0% (33.7 - 38.2)
წელის საშუალო გარშემოწერილობა (სმ)		95.7 (94.3 - 97.2)	89.6 (88.7 - 90.5)
სისტოლური წნევის საშუალო მაჩვენებელი (მმ ვწყ სვ), მათი ჩათვლით, ვინც იტარებს ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობას	129.4 (128.4 - 130.4)	132.6 (131.3 - 134.0)	126.5 (125.4 - 127.6)
დიასტოლური წნევის საშუალო მაჩვენებელი (მმ ვწყ სვ), მათი ჩათვლით, ვინც იტარებს ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობას	82.2 (81.6 - 82.8)	83.0 (82.1 - 84.0)	81.4 (80.7 - 82.1)
მაღალი არტერიული წნევა (SBP ≥ 140 და/ან DBP ≥ 90 მმ ვწყ სვ ან იტარებს ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობას)	37.7% (35.5 - 40.0)	38.6% (35.1 - 42.2)	36.9% (34.7 - 39.1)
მაღალი არტერიული წნევა (SBP ≥ 140 და/ან DBP ≥ 90 მმ ვწყ სვ ვინც არ იტარებს ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობას)	55.4% (52.1 - 58.8)	64.2% (59.3 - 69.0)	47.2% (43.4 - 50.9)
Step 3 ბიოქიმიური გაზომვები			
კაპილარულ სისხლში გლუკოზის საშუალო კონცენტრაცია უზმოზე (მმოლ/ლ), მათი ჩათვლით, ვინც იტარებს ჰიპოგლიკემიურ მკურნალობას	4.4 მმოლ/ლ (4.3 - 4.5)	4.4 მმოლ/ლ (4.3 - 4.5)	4.4 მმოლ/ლ (4.3 - 4.5)
უზმოზე გლუკოზის მომატებული (კაპილარულ სისხლში ≥ 5.6 მმოლ/ლ და <6.1 მმოლ/ლ) მაჩვენებელი (%)	2.0% (1.4 - 2.5)	2.0% (1.0 - 3.0)	1.9% (1.4 - 2.4)
უზმოზე გლუკოზის მაღალი (კაპილარულ სისხლში ≥ 6.1 მმოლ/ლ) მაჩვენებელი ან ამჟამად იტარებს ჰიპოგლიკემიურ მკურნალობას (%)	4.5% (3.7 - 5.3)	4.7% (3.5 - 6.0)	4.3% (3.4 - 5.2)
სისხლში საერთო ქოლესტეროლის საშუალო კონცენტრაცია უზმოზე (მმოლ/ლ), მათი ჩათვლით, ვინც ამჟამად იტარებს ანტილიპიდურ მკურნალობას	4.3 მმოლ/ლ (4.3 - 4.4)	4.1 მმოლ/ლ (4.0 - 4.3)	4.5 მმოლ/ლ (4.4 - 4.6)
საერთო ქოლესტეროლის მომატებული (≥ 5.0 მმოლ/ლ ან იმყოფება ანტილიპიდურ მკურნალობაზე) მაჩვენებელი (%)	27.7% (25.5 - 29.9)	21.9% (18.6 - 25.2)	33.0% (30.4 - 35.6)
მიღებული მარილის საშუალო დღიური რაოდენობა (გრამი)	8.5 გრ. (8.3 - 8.6)	9.7 გრ. (9.4 - 9.9)	7.4 გრ. -
კარდიოვასკულური (გსდ) რისკი			
10-წლიანი გსდ რისკი ≥ 30%, ან არსებული გსდ ¹ 40-69 წლის პოპულაციაში	28.8% (25.9 - 31.7)	30.8% (25.9-35.7)	27.1% (24.3 - 29.9)
რისკ-ფაქტორების კომბინაცია:			
<ul style="list-style-type: none"> • თამბაქოს ამჟამინდელი ყოველდღიური მოხმარება • დღის განმავლობაში 5 ულუფაზე ნაკლები ხილსა და/ან ბოსტნეულის მიღება • არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა 	<ul style="list-style-type: none"> • ჭარბი წონა (სმ ≥ 25 კგ/მ²) • სისხლის მაღალი წნევა (SBP ≥ 140 და/ან DBP ≥ 90 მმ ვწყ სვ ან იმყოფებისან ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობაზე 		
არცერთი აღნიშნული რისკ-ფაქტორი (%)	7.6% (6.0 - 9.2)	5.7% (3.4 - 8.0)	9.3% (7.7 - 11.0)
3 ან მეტი რისკ-ფაქტორი 18-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში	25.2% (22.1 - 28.3)	37.9% (32.5 - 43.3)	12.5% (10.2 - 14.8)
3 ან მეტი რისკ-ფაქტორი 45-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში	48.6% (45.7 - 51.5)	55.1% (50.4 - 59.8)	43.4% (40.2 - 46.5)
3 ან მეტი რისკ-ფაქტორი 18-69 წლის ასაკობრივ ჯგუფში	36.1% (33.8 - 38.4)	45.4% (41.7 - 49.2)	27.6% (25.5 - 29.8)

¹ 10-წლიანი გსდ რისკი ≥ 30% შეფასებულია ასაკის, სქესის, არტერიული წნევის, თამბაქოს მოხმარების სტატუსის (ამჟამინდელი მოხმარებლები ან რომლებმაც თავი დაანებეს შეფასებამდე 1 წელზე ნაკლები პერიოდის წინ), საერთო ქოლესტეროლის მაჩვენებლის და დიაბეტის (დიაგნოსტირებული დიაბეტი, ან დიაბეტის არმქონე პირებში უზმოზე გლუკოზის კონცენტრაცია >7.0 მმოლ/ლ) სტატუსის გათვალისწინებით.